საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიარებით ბეჭდის გაფანა ყველა უკვერისიბაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 26 ოქტომბერი. 2016 წ. №199 (8091), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მაკნეზლები

„ოცნების“ უმრავლესობა შიშსა ჰგვრის თავკერძა ნაციონალებს, რადგან თავიანთ ნებაზე

ველარ იმაკნეზლებენ!..

რუხის საავადმყოფო რეგიონში საუკეთესო იქნება...

220-ადგილიანი საავადმყოფოს შენობა 7 ბლოკისა და სხვადასხვა ტიპის საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობებისგან შედგება. ამ დროისთვის უკვე დასრულებულია ყველა ბლოკის მშენებლობა; გაკეთებულია სანტექნიკის, კანალიზაციისა და წყალმომარაგების სისტემები; მოწყობილია ვერტმფრენის დასაშვები მოედნის საფარი; დამთავრებულია შენობის გადახურვა და მიმდინარეობს ფასადისა და გარე პერიმეტრის მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

კლინიკის ტერიტორიაზე სამედიცინო პროფილის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის მოეწყობა აუდიტორიები და ბიბლიოთეკა, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურა. ასევე, რეზიდენტებისთვის, კლინიკაში სამკურნალოდ ჩამოყვანილი პაციენტების ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის 92-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი იფუნქციონირებს.

რუხის მრავალპროფილურ საუნივერსიტეტო საავადმყოფოს,

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ აშენებს. მშენებლობაზე 154 ადამიანი დასაქმდა, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივია.

კლინიკის ამოქმედების შემდეგ, რუხის და მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებს სამედიცინო დახმარების მისაღებად ზუგდიდში ჩასვლა აღარ მოუწევთ. გარდა ამისა, საავადმყოფო აფხაზეთიდან ჩამოსულ პაციენტებსაც მოემსახურება.

პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 41 მილიონ 264 ათასი ლარი გამოიყო. მშენებლობა 5 თვეში დასრულდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა გუშინ კლინიკის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

დღეს ნომერში:

- სოზარ სუბარი: ნაცების რევანში კრახით დასრულდა! 5
- სოსო მეგუთნიშვილი: კონსტიტუციის გაჯანსაღების შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ! 2
- ზურაბ აბრალავა: ვინც „ნაცებს“ ირჩევს, ის ირჩევს ერის განადგურებას, ტირანიის გაგრძელებას! 3
- ოთარ ხუციშვილი: მთავრობას ლარი ისევ გაექცა?! 4
- ნოდარ ტაბიძის არდავიწყება 12

კონსტიტუციის გაჯანსაღების შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ!

დიდი ინტერესით გავეცანი „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№198-25 ოქტომბერი) გამოქვეყნებულ მიხეილ ჯიბუტის წერილს „მთავარი საფრთხე სოლოკრატიაა და არა საკონსტიტუციო უმრავლესობა!“. წერილის ავტორს კარგად ვიცნობ საქართველოს 1992-95 წლების პარლამენტში ერთად მოღვაწეობით. მე და ბატონმა მიხეილმა ერთად მოვაწერეთ ხელი 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც დღემდე იმდენჯერ გადაკეთდა, რომ ლამის ახალი კონსტიტუციის მიღებაზე დავიწყოთ ფიქრი. არადა, ჩვენს მიერ ხელმოწერილი კონსტიტუცია არცთუ ურიგოდ გამოიყურებოდა ამერიკისა თუ ევროპის ქვეყნების კონსტიტუციების ფონზე. ნაციონალური ხელისუფლების მიერ დაჭრილ-დაჩეხილი კონსტიტუცია რადიკალურ ცვლილებებს ითხოვს. მისი გაჯანსაღება კი მხოლოდ პარლამენტის საკონსტიტუციო უმრავლესობით არის შესაძლებელი. ამის შანსი ახლა გვეძლევა და იგი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. მხოლოდ ასეთი გზით იქნება შესაძლებელი იმ პრობლემების მოგვარება, რომელიც ბატონმა მიხეილმა თავის ღია წერილში ჩამოაყალიბა და რასაც არ შეიძლება არ დაეთანხმო, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად საპარლამენტო უმრავლესობისთვის „სოლოკრატიის“ ტერმინის მიწებება უადგილოდ მიმაჩნია. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, არჩევნებში ნაციონალებს უფრო მეტი მანდატი რომ მოეპოვებინათ, ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ ისეთივე დამახინჯებული კონსტიტუციით გვეცხოვრა, რომელიც სააკაშვილმა თავის თავზე მოირგო და რომლის მავნე შედეგებსაც დღემდე ვიმკით. რატომ გვავიწყდება, რომ „სოლოკრატიის“ გარდა „ოლხოკრატიის“ ტერმინიც არსებობს, რომელიც ქვეყანაში ქაოსისა და მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირების ამსახველ ვითარებას განაპირობებს. **რატომ გვავიწყდება, რომ პარლამენტში მისული უმრავლესობა ხალხმა აირჩია და მათ გამარჯვებას მარტო ერთი კაცის ნებას ნუ მივაწერთ, თუმცა მას, როგორც ერთ რიგით ამომრჩეველს, საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას ვერავინ ჩამოართმევს.**

მთავარი საფრთხე სოლოკრატია და არა საკონსტიტუციო უმრავლესობა!

ეს წერილი ჩვენი მკითხველის დიდი გამოხმაურებების იმედით იგებჭდება!

დღეს ჩვენს ქვეყანას ამომრჩეველთა ნებით არჩეული უმრავლესობის მიერ განხორციელებული სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე საკონსტიტუციო ცვლელებები უფრო მეტად სჭირდება, რაც, შესასძლოა, ზოგჯერ „სოლოკრატიად“ მოვნათლოთ, ვიდრე რეალურად არსებული „ოლხოკრატიის“ დამკვიდრების საშიშროება, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაშია მოსალოდნელი.

სოსო მეგუთნიშვილი,
ექსპარლამენტარი.

„თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილი წევრები „ოცნებაში“ გადადიან(?)

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკისა და „თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილ წევრებს შორის დახურული შეხვედრა გაიმართა. გია ვოლსკისთან კონსულტაციაზე ზურაბ აბაშიძე, გია ცაგარეიშვილი და დავით ონოფრიშვილი იმყოფებოდნენ. „ქრონიკის“ ინფორმაციით, მსგავსი ტიპის აუდიენცია ირაკლი ალასანიას ყოფილ თანაგუნდელებს გია ვოლსკისთან გასულ კვირასაც ჰქონდათ. შეხვედრიდან გამოსული ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ მმართველ გუნდთან თანამშრომლობას გეგმავს. **„ხელისუფლებასთან ვითანამშრომლებ. არ ვითანამშრომლებ ნაციონალურ მოძრაობასთან. მომავალი გვიჩვენებს ვისთან ვიქნები, სად ვიქნები. ერთ რამეს ვიტყვი, ვიქნები სახელმწიფოს სამსახურში. ასე ვიყავი სულ. ოპოზიციაში ყოფნას აღარ ვაპირებ, თუმცა დღეს რაიმე კონკრეტიკაზე საუბარი ზედმეტია“,** — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, დღეს „თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილი წევრები სპეციალურ განცხადებას პარლამენტში ბიუროს ოთახში გააკეთებენ, სადაც ისინი სამომავლო პოლიტიკურ გეგმებზე ისაუბრებენ.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილმა წევრებმა, შესაძლოა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობები დაიკავონ.

დავით ონოფრიშვილი: მოგვიწოდებთ, მხარი დაუჭიროთ „ქართული ოცნების“ კანდიდატებს

„თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილი წევრი დავით ონოფრიშვილი საზოგადოებას მოუწოდებს მეორე ტურში მხარი დაუჭირონ „ქართული ოცნების“ კანდიდატებს.

რაც შეეხება, გავრცელებულ ინფორმაციას, იმის შესახებ, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილი წევრები სახელმწიფო თანამდებობებზე გადანაწილდებიან. ონოფრიშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის გაგრძელებას არ აპირებს.

ეკა ბესელია: თავდაცვის მინისტრი ყველაფერს გააკეთებს, რომ გამოძიებამ რეალური სურათი შექმნას

კრწანისში სამხედრო ბაზაზე გიგა შენგელიას მკვლელობის გამოძიების შესახებ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ განაცხადა:

„პირველ რიგში, მივუსამძიმრებ ოჯახს, სამწუხარო ფაქტი მოხდა. გარდაიცვალა ადამიანი და ბუნებრივია, რაც მოხდა, ყველასთვის ემოციურად მძიმეა, მეორე მხრივ, საჭიროა სიფრთხილე და თავშეკავება. ვაცადოთ გამოძიებას, რადგან ის რეალურად მიმდინარეობს და დადოს რეალური შედეგი. დარწმუნებული ვარ, რომ თავდაცვის მინისტრი არათუ არ შეუშლის ხელს, არამედ პირიქით, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ გამოძიებამ რეალური სურათი მიიღოს“.

ამერიკული სამხედრო გემი შავი ზღვის აკვატორიაში შემოვიდა

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების გემი Carney, რომელიც ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემით არის აღჭურვილი, შავი ზღვის აკვატორიაში შევიდა. თურქული სააგენტო Bosphorus Naval News-ის ცნობით, ხომალდმა ბოსფორის სრუტე ჩრდილოეთის მიმართულებით გადაკვეთა.

ხომალდი შავი ზღის აკვატორიაში ესპანეთის საზღვაო ბაზიდან ჩავიდა, სადაც გეგმიური ტექნიკური მომსახურება გაიარა.

◎ ჩვენს პუბლიკაციას არ ეთანხმებიან

რატომ ცრუობს ჟურნალისტი?

ცხოვრებამ შხამი მანთხია, მე კახურ ღვინოდ დავლიე.
ვაჟა-ფშაველა.

რატომ ცრუობს ჟურნალისტი სოსო ჭუმბურიძე? მე პირადად არ ვიცი.

უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ამა წლის 18 ოქტომბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ი. ჭუმბურიძემ გამოაქვეყნა წერილი, სადაც დაიმოწმა ამავე გაზეთში 2016 წლის 7 ოქტომბერს გამოქვეყნებული მასალა, მაგრამ იქ ნათქვამი აბსოლუტურად დაამახინჯა, ხოლო სხვათა ღვაწლი და კომპეტენცია მკითხველის თვალში არასათანადოდ წარმოაჩინა. ამდენად, პრიმიტიული ინსინუაციის გზით მან პირველ რიგში გაზეთის რედაქციას შეუქმნა კომპრომატი: ხომ იკითხავთ, თავად გაზეთმა რატომ არ გადაამოწმა ჭუმბურიძის მიერ არასწორად დამოწმებული მასალაო. გაზეთის რედაქცია ჟურნალისტს ენდო? ენდო, ბატონო, ენდო. მაგრამ ჟურნალისტი თუ სანდო არ აღმოჩნდა?

ამიტომ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ვთხოვ, თავად შეამოწმოს და შეაფასოს სოსო ჭუმბურიძის ქმედება, რომელიც, იმედია, საჯაროდ მოიხდის ბოდიშს.

რაც შეეხება დედოფლისწყაროს იმ მრავალრიცხოვან აუდიტორიას, რომელმაც ამა წლის 29 სექტემბერს განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინა ლექცია სამ დიდ ქართველ პოეტზე, ის გულთან არ მიიტანს მატყუარა ჟურნალისტის ღვარძლსა და შურიანობას და კახელებისთვის ჩვეული სილაღითა და სიალალით ვაჟას პერიფრაზს მიაგებებს მას:

სოსომ რაც შხამი ანთხია,
ჩვენ კახურ ღვინოდ დავლიეთო.

ინესა მერაბიშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი

რუსეთს სანქციები ხუთმა ევროპულმა ქვეყანამ გაუგრძელა

ამ ინფორმაციას ევროპის საბჭო საკუთარ ვებ გვერდზე აქვეყნებს. გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვს სანქციები უკრაინამ, მონტენეგრომ, ალბანეთმა, ლიხტენშტეინმა და ნორვეგიამ გაუგრძელეს. მანამდე რუსეთს სანქციები ერთი წლით ბრიუსელმა გაუხანგრძლივა.

ფილიპინელები ვაშინგტონის წინააღმდეგ

ფილიპინებს შეერთებულ შტატებთან სამხედრო თანამშრომლობა აღარ სურს. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა როდრიგო დუტერტემ განაცხადა. **„მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც ჩემი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოელი სამხედროები აღარ იქნებიან. ვაშინგტონი ფილიპინებს ისე ექცევა, როგორც თოკზე გამობმულ ძაღლს, რაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავასრულოთ,“** — აღნიშნა დუტერტემ. შეერთებულ შტატებსა და ფილიპინებს შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება 2014 წელს შედგა. ფილიპინების ლიდერს ხელშეკრულების გაუქმება სურს.

ვენესუელაში სტუდენტების აქცია დაარბიეს

ვენესუელაში პოლიტიკური კრიზისი ღრმავდება. პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნით სტუდენტებმა კარაკასში მასშტაბური საპროტესტო მსვლელობები მოაწყვეს. აქცია პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა, რის შედეგადაც 30-მდე ადამიანი დაშავდა. რამდენიმე მათგანის მდგომარეობა კრიტიკულია. პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხზე საყოველთაო რეფერენდუმის გამართვა ვენესუელაში დღეისთვის იგეგმებოდა, თუმცა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეფერენდუმი დაბლოკა.

იტალიის სანაპიროებთან 2 ათასამდე მიგრანტი გადაარჩინეს

იტალიის სანაპიროებთან ათასობით მიგრანტი დაღუპვას გადაარჩინეს. სამაშველო ოპერაცია 48 საათს გაგრძელდა. მასში 6 სამაშველო კატარღა იყო ჩართული. მაშველებმა 2 ათასამდე ადამიანის გადარჩენა შეძლეს. ვრცელდება ინფორმაცია 16 დაღუპულის შესახებაც. იტალიის სანაპიროებამდე მიღწევას მიგრანტები მცირე ზომის გემებით ცდილობდნენ.

ვინც „ნაცებს“ ირჩევს, ის ირჩევს ერის განადგურებას, ტირანიის გაგრძელებას!

თუ საკონსტიტუციო უმრავლესობა პოზიტიურ ძალებს არ ექნა, „ნაცები“ ყველა საჭირო კანონის მიღებას შეაფერხებენ

ПОЛИТИКА აზარტულ თამაშს დაემსგავსა, პოლიტიკოსთა შერკინებას ამომრჩეველთა ბრძოლაც მიემატა. ლამისაა ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდონ ადამიანები თავიანთ რჩეულს, თავიანთ პოზიციას იცავენ, არათუ პოლიტიკური, ხელჩართული ბრძოლითაც – მათი რჩეული ჯობია. ქვეყანას უკეთ მოემსახურება! თუმცა, არა მგონია ეს იყოს მიზეზი, ესენი სახელმწიფოებრივად მოაზროვნეებს არ გვანან. ყველა პარტიას მმართველობაზე, მთელი გუნდით ხელისუფლებაში მოსვლაზე აქვს პრეტენზია, მაგრამ არჩევნებმა სულ სხვა რეალობა აჩვენა – სამი პარტიის გარდა, ყველა გარიყა პოლიტიკური ასპარეზიდან, თუმცა იხტიბარს არ იტეხენ და თავიანთი 1%-იანი პარტიის მარცხს (ალბათ, მეათედ) გაყალბებას აბრალებენ, ზოგს ეყო ვაჟკაცობა და პოლიტიკურ მოღვაწეობას თავი გაანება. ზოგი ჯიუტად განაგრძობს და ქუჩის აქციებით იმუქრება.

ყველაზე უფრო დამაფიქრებელი ისაა, რომ ნაციონალების „რეანიმაცია“ გრძელდება და ამომრჩეველი ემატება. ისე, პარადოქსია, ერთი მხრივ, სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ – „ნაციონალების“ დასჯას და, მეორე მხრივ კი, ნაციონალებს აძლევენ ნდობის მანდატს. ეს მოიტანა შორს გამიზნულმა კოჰაბიტაციამ და მომავალში შეიძლება ხელისუფლებაშიც დაბრუნდნენ, თუ ასე გაგრძელდა ლოიალობა და მიტევება.

იმასაც ამბობენ, რომ ამის შიშით ხალხის ნაწილი „ოცნებას“ უჭერს მხარს – ამ ფაქტორების გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ „ოცნებამაც“ უნდა გამოიღოს ხელი – ჩამოყალიბდეს პარტიად და აკეთოს ეროვნული საქმე გინდა ევროპელობით და გინდა ამერიკასთან პარტნიორობით და თუ

სააკაშვილი, თავის ქვეყანაში დასაჭერი ბრალდებული, სხვის ქვეყანაში პრეზიდენტობისთვის იბრძვის, სადაა აქ ლოგიკა? საერთაშორისო კანონმდებლობა, სახელმწიფოთა შორის ურთიერთპატივისცემა, ესაა დემოკრატია?

რამეს გადმოიტანენ მათგან კარგს და პოზიტიურს, ამას მივესალმებით.

წინ არჩევნების მეორე ტურია, თუმცა, არც ეს ბრძოლა იქნება იოლი – განაწყენებული პოლიტიკური პარტიები „ოცნების“ კანდიდატს არ დაუჭერენ მხარს. არავინ იცის არჩევნებზე არმისული 49%, ანუ მილიონ ნახევარი კაცი რა ჭკუაზე დადგება, სხვათა შორის, არჩევნებზე ხალხის დიდი ნაწილის არმისვლამ განაპირობა ნაციონალების პროცენტული მატება, არადა, ეს პარტია თუ სექტა დროზეა მოსაცილებელი, რისი ოპოზიციაა ნაცები!.. ეს ხომ დაცინვაა დემოკრატიის, არადა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჩატარებული არჩევნებით კმაყოფილია, იქნებ იმიტომ, რომ „ნაცები“, ანუ მათი ხელდასხმული პარტია – მთავარი ოპოზიციური ძალაა, რომ ესენი არ შემცდარან სააკაშვილის არჩევნებში. მოკლედ, 200 პარტიიდან 2 პარტია შეგვრჩა და როგორც ამერიკაშია – ხან ერთი იქნება სათავეში, ხან მეორე, მაგრამ ქართველი ხალხი „ნაცების“ პარტიულ მომავალს ვერ შეეგუება.

ეს პარტია ისევ აფერხებს ქვეყნის განვითარებას, მის მომავალს. პოლიტიკური მეხსიერების დევალვაცია კარგს არაფერს მოგვიტანს. **თუ საკონსტიტუციო უმრავლესობა პოზიტიურ ძალებს არ ექნა, „ნაცები“ ყველა საჭირო კანონის მიღებას შეაფერხებენ.**

ამ არჩევნებზე პოლიტიკურმა სტრიპტიზმა გააშიშვლა საბოლოოდ ვითომ პარტიები, – ზოგისთვის პარტია საშუალება იყო თანამდებობის დათრევის, და აკი დაიტოვეს იგი ალასანიამ და მისნაირებმა. ვიღაც ფულს აკეთებდა, ვიღაც მარადი ოპოზიციონერობით სარგებლობდა.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა გაიწმინდა ზოგადად პოლიტიკური ველი, მაგრამ რომ არ ისვენებენ – გავერთიანდეთო, ქუჩიდან შევუტიოთო.

სააკაშვილი, თავის ქვეყანაში დასაჭერი ბრალდებული, სხვის ქვეყანაში პრეზიდენტობისთვის იბრძვის, სადაა აქ ლოგიკა? საერთაშორისო კანონმდებლობა, სახელმწიფოთა შორის ურთიერთპატივისცემა, ესაა დემოკრატია?

საქართველო დიდხანს ვერ ჩამოირეცხავს იმ სირცხვილს, რასაც სააკაშვილის მმართველობა ერქვა – ქვეყანა ერთი კაცის ხუშტურზე იმართებოდა!ახლა ლამის მთელი საქართველო იმაზე წუხს, „ოცნებას“ არ ექნეს კონსტიტუციური უმრავლესობაო! მაშინ, რატომ არ წუხდნენ, „ნაცების“ ხელში რომ იყო უმრავლესობა და უბის წიგნაკად რომ აქციეს ქვეყნის მთავარი კანონი... ოღონდ ეს არ მოხდეს და ნაცებს მიეცით ხმაო – გაჰკივიან ექსპერტები, დაჩაგრული პარტიების ლიდერები. მერედა, სადაა აქ დემოკრატია – ეყოფათ „ნაცებს“ 27-28 ხმა, რაც მიიღეს მავანთა მხარდაჭერით.

„ოცნებამ“ ისიც უნდა გაითვალისწინოს, მაჟორიტარებმა სულზე მოუსწრეს, ასე, რომ, მთლად საზეიმოდ არაა საქმე და მომავალი 4 წელი დიდ საქმეს უნდა შეეჭიდონ, რათა ხალხს, რომელიც ერთხელ კიდევ გვერდით დაუდგა, არ გაიწბილონ და „ნაციონალების“ სექტა თუ ბანდა არ გაახარონ, ადამიანები მხოლოდ საარჩევნო ატრიბუტები არ არიან, იგი ერია, ქვეყანაა, სახელმწიფოა, სამშობლოს ნაწილია, „ნაცებს“ არა აქვთ სამშობლო და ნაცია – ქართველი ერი გაყიდეს ყველა პარამეტრით, მოსპეს ზნეობა, ღირსების გრძნობა – პროფესიონალიზმი; სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია, სამთავრობო-არასამთავრობო ორგანიზაციები ხალხის მტრად აქციეს და უაზრო დიქტატორის სამსახურში ჩააყენეს. მაღალი იდეალების ნაცვლად, ინსტინქტებამდე დაიყვანეს, მოსამსახურედ აქციეს ნახევარი საქართველო – საზღვარგარეთ გადახვეწილი. „ოცნებას“ ბევრი რამის გამოსწორება მოუწევს, რამეთუ ქვეყანა ნაცების ხელისუფლების მიერ იყო დაპყრობილი, არანაკლები ოკუპანტები დემოკრატიის სახელით, 10 წელი ხალხის მტრობაში – ბოროტების სამსახურში გაატარეს, ნუთუ არ კმარა დაფიქრებისთვის. საქართველო ათასჯერ უფრო დიდია, ვინემ ყველა პარტია ერთად აღებული, თავის პრეზიდენტიანად და სამთავრობო-არასამთავრობოებიანად! – იგი უკვდავი ფენომენია დიდი სულიერი მისიით, რაც ევროპას არც კი მოელანდება...

„ოცნებამ“ ვერ შეასრულა დანაპირები – ისმის აქეთ-იქიდან, ამიტომ „ნაცები“ უნდა მოვიდნენ? თურმე სააკაშვილი ყოფილა სიკეთე და ივანიშვილი ბოროტება? მართლა ასე ბნელა? არავინ იფიქრებდა, მმართველ პარტიას ამ ოთხ წელიწადში თუ ამდენი საბოტაჟი და ხელშეშლა ექნებოდა.

სააკაშვილს არასოდეს გაუმარჯვნია ფოთში, რამეთუ მხოლოდ ავნო მას, გაყიდა პორტი და საქართველოს საზღვაო კარიბჭე ტერმინალად აქცია, ივანიშვილმა კი ფოთს უნიკალური რაგბის სტადიონი აუშენა, კიდევ ჰპირდება ბევრ რამეს და, საერთოდ, მან საქართველოს მილიარდობით ლარი დაახარჯა... ასეა, ერთს იქით მიაქვს, მეორეს აქეთ მოაქვს. ნუთუ, ვერ არჩევთ შავსა და თეთრს, დაგვავიწყდა, რომ „ნაცებმა“ წაართვეს ხალხს ბედნიერება, დაიკარგა ხალისი, გულღია ურთიერთობა, მოკლეს ქართველი კაცი, ამაყი, გამორჩეული, მოკლეს ქალი – ღირსებით სავსე, თუმცა, გაიმარჯვა „დემოკრატიამ“.

„ოცნებას“ ჩამოსცილდნენ არარეიტინგული პარტიები, შინაური მტრები და ახლა, ერთ, მაგრამ დიდ საშიშ მტერთან გვაქვს საქმე – „ნაცებთან!“, იგი აგრძელებს საბოტაჟს, მაგრამ ამის უფლება არ უნდა მივცეთ, მიშისტები ერთად უნდა მოვიკვეთოთ!

დასავლური ძალები არაა პოლიტიკაში! ჩივიან მავანნი, „ნაცები“ ხომ იყვნენ დასავლური და ავშენდით! დასავლეთი სამშობლოს აკრძალვაა? უსამშობლო კაცი ოკეანეში უკომპასოდ მოხეტიალე გემია, ფესვებს მოწყვეტილი ხეა, ქართველი კაცი როგორმე გაარჩევს, ნაცების კონსტიტუცია შესაცვლელია თუ არა – აბურდულ-ჩაბურდული სააკაშვილის პრეზიდენტობა-პრემიერობის სურვილით; როგორმე გავარჩევთ ქვეყნისათვის უფრო საშიში „ნაცებია“ თუ „ოცნების“ კონსტიტუციური უმრავლესობა.

ზურაბ აბრალავა,
გაზეთ „ნიკოლაძის გზით“ რედაქტორი,
ფოთი

გალამაზდა რობაქიძის გამზირი

დიდუბის რაიონში რობაქიძის გამზირის გამწვანებული ტერიტორიის სრული რეაბილიტაცია დასრულდა.

5-კილომეტრიან მონაკვეთზე დაირგო 20 000 ძირი ბუჩქოვანი მცენარე- გართხმული ღვია, როზმარინი, ირმის რქა, კოწახური, ეონიმუსი, ნანდინა, ტუია, ფოტინია; 8000 კვადრატულ მეტრზე მოეწყო სარწყავი სისტემა, დამონტაჟდა 1372 წყლის გამფრქვევი, მრავალწლოვანი ნარგავები შეიმოიფარგლა ბორდიურებით და ამაღლდა თარგები.

რობაქიძის გამზირზე თბილისის მერი დავით ნარმანია, მერის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილთან, ეკოლოგიისა და გამწვანების უფროს ნინო სულხანიშვილთან, დიდუბის რაიონის გამგებელ ირმა ზავრადაშვილთან და საკრებულოს დეპუტატ თარაშ შურღაიასთან ერთად იმყოფებოდა.

„რობაქიძის გამზირის გავლით ყოველდღიურად თბილისში შემოდის უამრავი მანქანა. ამიტომ, პირველ ეფექტს სწორედ ეს ადგილი ახდენს. განხორციელებული სამუშაოების შედეგად მივიღეთ ძალიან მნიშვნელოვანი, გამწვანებული რეკრეაციული ტერიტორია. მის მოვლა-პატრონობას მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური განახორციელებს. რაც ყველაზე მთავარია, მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია. წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ასეთ ობიექტს დავასრულებთ,“ – განაცხადა დავით ნარმანიამ.

რობაქიძის გამზირის გამწვანებული ტერიტორიის სრული რეაბილიტაცია მიმდინარე წლის მაისში დაიწყო. პროექტის საერთო ღირებულება 684 890 ლარია.

იწყება დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია

სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურ დირექტორ ლევან დვალთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტში, ტეხურას მდინარეთაშორის მასივზე ახალსოფლის დამშრობი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში ცივა-ტეხურას მდინარეთაშორის მასივის დამშრობი სისტემის 50-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. დღეისათვის სამუშაოები უკვე ჩაუტარდა 39 კმ სადრენაჟე არხს. სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში მოხდება, ასევე, დაზიანებული მილხიდების ახლით ჩანაცვლება. პროექტის დასრულების შემდეგ, 2017 წლის მარტისათვის, სადრენაჟე მომსახურება აღდგება სოფელ ახალსოფლის 690 ჰექტარ მიწის ფართობზე. სარეაბილიტაციო პროექტის ღირებულებაა 679 000 ლარი.

2012 წლიდან დღემდე სამეგრელოს რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა 400 კმ-ზე მეტ სადრენაჟე არხს, ხოლო ტექნიკური ექსპლუატაციის ფარგლებში მოწესრიგდა 379 კმ სადრენაჟე არხი. შედეგად დრენირებული მიწის ფართობი 10 000 ჰექტრიდან 16 540 ჰექტრამდეა გაზრდილი.

მთავრობას ლარი ისევ გაექცა?!

ლარის სტაბილური კურსი სწორედ სტაბილური ეკონომიკით უნდა შევინარჩუნოთ და არა ოდენ ეროვნული ბანკის ჩარევებითა და სიტუაციიდან იოლად გამოძრომის გზებით. დღეს ქვეყანაში შექმნილია არასაკმარისი ეკონომიკური აქტიურობა, რის გამოც ნებისმიერი შოკი ნეგატიურად მოქმედებს.

ეს კითხვა კვლავ გამოჩნდა საპარლამენტო არჩევნებისას, არც თუ მთლად გაცისკროვნებულ ცაზე, როცა ეროვნული ვალუტის რყევამ ზაფხულის მშვიდ დინებასთან შედარებით საგრძნობლად იმატა. ამასთან ერთად, საზოგადოებაში იმატა ეჭვმაც: ივანიშვილის მიერ ხელდასხმულ მთავრობას ლარი მართლაც გაექცა, თუ ამას ავყია ნაცბანდელები იმისთვის ავრცელებენ, რომ არჩევნებში ხელმეორედ გამარჯვებულ „ოცნებას“ ხალხში ნდობა დაუკარგონ? ჩნდება სხვა ეჭვიც მათ შორის იუმორისტულიც. ვთქვათ, მთავრობას ლარი მართლაც გაექცა, მაგრამ გაუგებარია, რატომ არ ცდილობს, რომ გამოეკიდოს და ვიდრე მთლად დაუკრეფავში არ გადასულა, უკანვე მოაბრუნოს?

აი, ამან კი, რაც უნდა იუმორისტულ განწყობაზე დაგაყენოთ, არ შეიძლება სერიოზულად არ ჩაგაფიქროთ. თუმცა, მთავრობას თუ დავუჯერებთ, ლარს ამჯერად სავიშვიშო და გულზე მჯიღის საცემი არაფერი სჭირს. საქართველოს პირველი ფინანსისტი ნოდარ ხადური, როგორც ყოველთვის, ახლაც გულდამშვიდებულია. ეროვნული ბანკი და ჩვენ ყველა ვთანხმდებით, — აცხადებს ის, — რომ ბოლო წლების განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯებს არ გამოუწვევია და არც შეეძლო გამოეწვია ლარის გაცვლით კურსზე ზემოქმედება. ამიტომ მე მოვუწოდებ ოპონენტებს, რომ ოდნავი ობიექტურობა შეინარჩუნო და საკუთარი პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად ნუ გააკეთებენ ისეთ განცხადებას, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მათ ავტორიტეტს. საშუალოვადიან პერსპექტივაში ჩვენ ველოდებით გაცვლითი კურსის დასტაბილურებას. ეს არის მოკლევადიანი რყევები, რაზეც ეროვნულმა ბანკმა განცხადება უკვე გააკეთა“.

პირდაპირ საოცარია, ერთთავად ხელმოჭერილი ფინანსისტის ასეთი ლოიალური კეთილგანწყობა ოპონენტებისადმი. ხადური კი უფრთხილდება ნაცების ავტორიტეტს, მაგრამ თავად ნაცებს მთავრობასთან ერთად, საკუთარი თავიც ფეხებზე ჰკიდიათ და ხელისუფლების საგინებლად „ლამაზ-ლამაზ“ ეპითეტებს არ იშურებენ. ნაციონალების მაჟორიტარობის კანდიდატის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, მთავრობა ვერა და ვერ ელევა პრემიებს, დანამატებს, კომფორტსა და ფუფუნებას, რათა მოახდინოს ბიუჯეტის სეკვესტრი და შეამსუბუქოს ლარზე დაწოლა.

— საპარლამენტო არჩევნების წინ ეროვნული ბანკი ხელოვნურად აჩერებდა ლარის გაუფასურებას და ამისთვის რეზერვებიდან სექტემბერ-ოქტომბერში 160 მილიონი ლარი დახარჯა, თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს მდგომარეობას არ შველის, პირიქით, გრძელვადიანად კიდევ უფრო მაღალი რისკების წინაშე გვაყენებს, — წინასწარმეტყველებს გულთმისანი ჭიაბერაშვილი.

ნაციონალები კი, მაგრამ... რას ფიქრობენ ამის თაობაზე ეკონომიკური ექსპერტები, არ გაინტერესებთ? ბევრისგან განსხვავებით პაატა შეშელიძე ლარის გაუფასურებას არჩევნებს არ უკავშირებს. მისი აზრით, ლარის გაუფასურების წყარო არის მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა. ორივე ეს კომპონენტი არის იგივე, რაც აქამდე იყო და ეს მუდმივად იქნება პრობლემა გაუფასურებისკენ. ეს პროცესი დაიწყო სამი წლის წინათ და გაგრძელდება იმიტომ, რომ პოლიტიკა არ იცვლება.

რატომ არ მიდის მუშაობა, რომ ეს კომპონენტები გაუმჯობესდეს? შეშელიძის აზრით, იმიტომ, რომ ეს ხელს არ აძლევს არც ეროვნულ ბანკს და არც ფინანსთა სამინისტროს. ეროვნულმა ბანკმა გასცა სესხების უზარმაზარი რაოდენობა, ფინანსთა სამინისტროს ჰქონდა ბიუჯეტის დეფიციტი და დააფინანსა ფასიანი ქაღალდების გამოშვებით(!). ჯამში ეს ყველაფერი ზრდის მოთხოვნას ფულზე როგორც კომერციული, ისე ფინანსთა სამინისტროს სექტორიდან და ცხადია, რომ ჩვენ არა გვაქვს საკმარისი ექსპორტი, საკმარისი შემოდინებები, საკმარისი ინვესტიციები უცხოეთიდან. ყველაფერს რასაც იძენენ ადამიანები, არის უცხოური წარმოშობის და დოლარზე იყიდება, აქედან გამომდინარე, დოლარზე შექმნილია ხელოვნურად დიდი მოთხოვნა...

ლარის დევალვაციის განსხვავებულ ფაქტოზე აკეთებს აქცენტს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე. ამ ეტაპზე, მისი აზრით, ლარის გაუფასურების მიზეზია მსხვილი ტრანზაქციები. ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ინტერვენციებიც სწორედ აღნიშნული მსხვილი ტრანზაქციებით განპირობებული დისბალანსის აღმოსაფხვრელად არის მიმართული.

ეროვნული ბანკის თავკაცის აზრს ეთანხმება ექსპერტი მიხეილ დუნდუა და ლარის გაუფასურების მიზეზად მსხვილ ტრანზაქციებთან ერთად გაჭიანურებულ საარჩევნო პროცესსაც ასახელებს. მისი აზრით, ნაცმოძრაობა ორიენტირებულია ქვეყანაში დაძაბული ფონის შექმნაზე და ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით პანიკას თესავს. ყოველგვარ ეკონომიკურ ანალიზს მოკლებულია მათი მტკიცება იმის შესახებ, რომ ლარის გაუფასურება გამოწვეულია მთავრობის არასწორი პოლიტიკით და მაკროეკონომიკური გარემოს გაუარესებით. პირიქით, მაკროეკონომიკური გარემო, რომ მკვეთრად გაუმჯობესებულია, ამის დასტურია მსოფლიო რეიტინგში საქართველოს 51-ე ადგილიდან მე-40 ადგილზე გადანაცვლება და ევროპის საუკეთესო ოცეულში ადგილის დამკვიდრება.

ასეა, ქვეყანამ რამდენიმე საფეხურით კი წაიწია წინ, მაგრამ ახლა ისიც ვიკითხოთ, ლარმა რამდენად გაიუმჯობესა მდგომარეობა და რამდენად დაიმკვიდრა ადგილი საკუთარ ქვეყანაში? რატომ არის, რომ დოლარი საქართველოში გაბატონებული, აბორიგენი ლარი კი დაჩაგრულია მთავრობის არასწორი პოლიტიკით და მაკროეკონომიკური გარემოს გაუარესებით. პირიქით, მაკროეკონომიკური გარემო, რომ მკვეთრად გაუმჯობესებულია, ამის დასტურია მსოფლიო რეიტინგში საქართველოს 51-ე ადგილიდან მე-40 ადგილზე გადანაცვლება და ევროპის საუკეთესო ოცეულში ადგილის დამკვიდრება.

ასეა, ქვეყანამ რამდენიმე საფეხურით კი წაიწია წინ, მაგრამ ახლა ისიც ვიკითხოთ, ლარმა რამდენად გაიუმჯობესა მდგომარეობა და რამდენად დაიმკვიდრა ადგილი საკუთარ ქვეყანაში? რატომ არის, რომ დოლარი საქართველოში გაბატონებული, აბორიგენი ლარი კი დაჩაგრული? რატომ არ ზრუნავს ხელისუფლება იმისთვის, რომ ლარი საკუთარ სამშობლოში უფრო მეტი ნდობით სარგებლობდეს, ვიდრე უცხოური ვალუტა? ბოლო პერიოდში ვითომ გამოაცხადეს ლარიზაციის პროგრამა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლარზე უნდა გადავიდეს ყიდვა-გაყიდვა, მათ შორის უძრავი ქონების, ავტომობილების და სხვა, მაგრამ ამას ქმედითი ნაბიჯები არ მოჰყოლია. მოსახლეობისთვის სხვადასხვა ბარიერით კვლავაც შეზღუდულია სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე წვდომა და მისი წყალობით მხოლოდ კომერციული ბანკები მდიდრდებიან. წელს კომერციული ბანკების შემოსავალმა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან პირველ 6 თვეში 102,3 მილიონი ლარი შეადგინა, შარშან კი ამავე გზით მათ 173 მილიონი ჩაიჯიბეს(!).

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ლარი ხალხში კარგავს ნდობას, დოლარი კი, პირიქით, პოზიციებს იმტკიცებს. მოსახლეობისთვის ხელისუფლების მოწოდებას, დოლარს ნუ შეიძენთო, თუ კონკრეტული ქმედებები არ მოჰყვა, რა შედეგს უნდა ველოდეთ? არცარაფერს, მით უფრო, თუ მომწოდებლები (პარლამენტარები და მთავრობის წევრები) თავადვე არ ენდობიან ლარს და დეპოზიტების უდიდესი ნაწილი კომერციულ ბანკებში უცხო ვალუტებში აქვთ გახსნილი.

ერთი ჩემი კოლეგა „კვირის პალიტრიდან“, როცა დაინტერესდა პარლამენტისა და მთავრობის წევრთა დეკლარაციებით, არცთუ სასიამოვნო სურათის მოწმე გახდა. აღმოჩნდა, რომ პარლამენტარებს დეპოზიტების დიდი ნაწილი დოლარში (2,4 მილიონი) აქვთ, 700 ათასი — ევროში, 166 ათასი — სტერლინგში და სხვა უცხოურ ვალუტებში. ასევეა სესხები, რომელიც 14 მილიონი დოლარში აქვთ, 400 ათასამდე — ევროში და მხოლოდ 1,4 მილიონი — ლარში. კიდევ უფრო საგანგაშოა ვითარება მთავრობაში, რომლის წევრთა უმეტესობას ლარში დეპოზიტები აქვთ მხოლოდ 380 ათასი, ევროში — 5 მილიონამდე, ხოლო დოლარში — 5 მილიონზე მეტი. მათ 4 მილიონამდე სესხი აქვთ დოლარში, 460 ათასი — ევროში და ლარში — მხოლოდ 450 ათასი. გამოდის, რომ ჩვენი მთავრობის წევრებისა და პარლამენტარების უმეტესობა თავად არ აღიარებს ლარს გადახდის, დაგროვებისა და გაცვლით საშუალებად და მოსახლეობას კი მჭახე ხმით მოუწოდებენ — დოლარს ნუ შეიძენთო(!).

დოლარს მაშინ აღარ მიაწყდება ხალხი, როცა ლარი მას ღირსეულ კონკურენციას გაუწევს და მაღალ ნდობას დაიმსახურებს. სწორედ ნდობის დეფიციტმა შეუქმნა ლარს პრობლემები საარჩევნო პერიოდში, როცა ზოგიერთმა ექსპერტმა „იწინასწარმეტყველა“, რომ არჩევნების შემდეგ ლარი კატასტროფულ ნიშნულამდე მივიდოდა. რა თქმა უნდა, არასწორი მილოდინი იწვევს ლარზე ზეწოლას, მისი კურსის წაღმა-უკუღმა ტრიალს, რაც ბიზნესსაც ანადგურებს და მოქალაქეებსაც ძარცვავს.

კარგია, რომ ეროვნულმა ბანკმა ბაზარზე ვალუტის მცურავი კურსის რყევების კვალდაკვალ დაიწყო და ახორციელებს საჭირო ინტერვენციებს, მაგრამ ჩვენი მთავარი პრობლემა მაინც ეკონომიკაა, რომელიც კუს ნაბიჯით იზრდება. ლარის სტაბილური კურსი სწორედ სტაბილური ეკონომიკით უნდა შევინარჩუნოთ და არა ოდენ ეროვნული ბანკის ჩარევებითა და სიტუაციიდან იოლად გამოძრომის გზებით. დღეს ქვეყანაში შექმნილია არასაკმარისი ეკონომიკური აქტიურობა, რის გამოც ნებისმიერი შოკი ნეგატიურად მოქმედებს. ქვეყანა იმპორტზეა ჩამოკიდებული, არ ფლობს სავალუტო შემოსავლების სტაბილურ წყაროებს. ამიტომ ჩნდება ფულის ნაკლებობის პრობლემა, რაც შემდეგ მთავრდება ლარზე ზეწოლით და მისი კურსის წარამარა ვარდნით, რომელსაც ემოციური განცხადებებით ვერ გააჩერებ.

რამდენიმე დღეც და ცნობილი გახდება არჩევნების მეორე ტურის შედეგებიც, რასაც თან მოჰყვება ახალი მთავრობის ფორმირება. იმედია, ის ქეყნის ეკონომიკის წამოსაწევად და ლარის კურსის დასასტაბილურებლად გონივრულ ნაბიჯებს გადადგამს.

ოთარ ხუციშვილი.

განახლდება აფხაზეთის სკვერი

ვაკის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ნუცუბიძის II მ/რ-ის II კვ. მე-12 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე აფხაზეთის სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

პროექტის თანახმად, სკვერში გამოიცვლება ბორდიურები, შეკეთდება და შეიღებება ლითონის ღობე, კედელი, მოხდება კიბეების რეაბილიტაცია, დაიგება მოზაიკური ფილები. სკვერის შესასვლელში მოეწყობა პანდუსი, დამონტაჟდება ახალი ურნები და სკამები, ტერიტორიაზე მოხდება მწვანე საფარის დამუშავება. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის სკვერში აღმართულია სკულპტურული მემორიალი „საქართველოსთვის“, რომელიც ამ ტერიტორიაზე ჟიული შარტავას ხსოვნის ნიშნად დაიდგა.

ახალი ავიარეისები ქუთაისიდან

ქუთაისიდან 7 ახალი ავიარეისის დანიშვნასთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ევროკავშირის ქვეყნებში აქტიური მარკეტინგული კამპანია დაიწყო. ადმინისტრაციამ ავიაკომპანია Wizzair-თან ერთად ბერლინსა და მიუნხენში ღონისძიებები ჩაატარა.

ადმინისტრაციამ საქართველოს შესახებ 15-20-წუთიანი პრეზენტაცია გამართა, რომელსაც 40-ზე მეტი გავლენიანი ტუროპერატორი დაესწრო. პრეზენტაციას გერმანიის მაღალრეიტინგული ბეჭდური და ელექტრონული მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიებების სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ქართული კერძები და ღვინო დაეგემოვნებიათ.

23 სექტემბრიდან ავიაკომპანია Wizzair-მ ქუთაისიდან ბერლინის, დორტმუნდის, მემინგენის, (მიუნხენი) ლარნაკას, მილანის, სოფიასა და სალონიკის მიმართულებით ახალი პირდაპირი ავიარეისები დანიშნა.

გარდაბანში მეორე თბოსადგურის მშენებლობა იწყება

დღეს, 26 ოქტომბერს, 12:00 საათზე, გარდაბანში საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გენერალური დირექტორი დავით თვალაბეიშვილი და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ილია ელოშვილი შპს „გარდაბნის თბოსადგურ 2“-ის მშენებლობას ჩაუყრიან საფუძველს.

ნაცების რევანში კრახით დასრულდა!

— საკონსტიტუციო უმრავლესობა საჭიროა მხოლოდ იმისთვის, რომ ქვეყნის კონსტიტუცია გააკეთილშობილო, ხოლო გაუარესებით ამ კონსტიტუციას უკვე ვეღარ გააუარესებ“, — გვეუბნება დევნილთა და განსახლების მინისტრი **სოზარ სუბარი.**

— „არც ერთი ხმა „ქართულ ოცნებას“, რადგან საშიშია მის ხელში საკონსტიტუციო უმრავლესობა — რა მიზანს ემსახურება საზოგადოების წარმომადგენელთა განცხადება?

— როცა ვახსენებთ სამოქალაქო საზოგადოებას, ისე არ უნდა აღვიქვათ, რომ ის განყენებულია პოლიტიკური პროცესებისგან. გიორგი ტუღუში, ელენე ხოშტარია და მთელი ის შემადგენლობა სამოქალაქო საზოგადოების კი არა, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ და თავიდანვე ვიცოდით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები და იდეოლოგები იყვნენ. შემდეგ კი, სასწრაფოდ გადაბარგდნენ პარტიაში. იგივე პროცესთან გვაქვს საქმე — „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები გამოდიან „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდასაჭერად, რომ მხარი არ დაუჭირონ „ქართულ ოცნებას“, რათა მას არ ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა.

— ბატონო სოზარ, ოპონენტები ამბობენ, რომ კოალიციური მთავრობა ეს არის ევროპული გზა...

— ეს არის ტყუილი.როგორც მრავალპარტიული, ასევე ორპარტიული პარლამენტი, არც ცუდია და არც კარგია. ამერიკაში ორპარტიული პარლამენტია, კონგრესიც და სენატიც ორპარტიულია, ცუდია? — არა, ძალიან კარგია. გერმანიაში მრავალპარტიული პარლამენტია, ცუდია? — არა. როგორც წესი, ინგლისში ორპარტიული პარლამენტია, — ძალიან კარგია; საფრანგეთში უფრო მრავალპარტიულია, ანუ კლიშეებით არ უნდა ვიაზროვნოთ, რომ სადღაც ასეა, ამიტომ ჩვენც იგივე გზით უნდა წავიდეთ.

იგივე გერმანიაში ხშირად არის კოალიციური მთავრობა, რადგან რომელიმე ერთი პარტია ვერ აგროვებს მთავრობის ჩამოყალიბებისთვის საკმარის ხმას, თორემ ძალიან ბედნიერი იქნებოდა ნებისმიერი მთავრობა გერმანიაშიც და ესპანეთშიც, რომ არ სჭირდებოდეთ კოალიციის შექმნა. უმრავლეს ქვეყნებში არც სჭირდებათ, ეს არის ნორმალური, ხალხი ანიჭებს მანდატს ვიღაცას და ეს ვიღაცა იმარჯვებს. ის, რომ ვიღაცამ მანდატი ვერ აიღო, ვიღაცამ 0,5 ან 1,5%, ან ვიღაცამ 3% აიღო, ეს არც ჩემი ბრალია, არც თქვენი და არც ქართველი ხალხის, ეს არის იმ პარტიების ბრალი, რომლებსაც ან სათქმელი არაფერი აქვთ ხალხთან, ან ის სათქმელი ვერ მიიტანეს სწორად.

ვინ რამდენჯერ გამოდის ტელევიზიით და რამდენად ბრძნულად ლაპარაკობს, ამით არ განისაზღვრება ხალხის ნდობა. ხალხის ნდობას განსაზღვრავს უამრავი სხვა რამე. თუ ვიღაცა ფიქრობს, რომ ქართველ ხალხზე მაღლა დგას და ერთი საუკუნით წინ უსწრებს, ძალიან კარგი, მიხარია, რომ ასეთი ადამიანები არიან საზოგადოებაში, მაგრამ მაშინ დაელოდონ კიდევ ერთი საუკუნე, როდის აავმაღლებით ქართველი ხალხი მათ დონემდე, რომ მივცეთ ხმა და მართონ ქვეყანა.

— „ნაციონალური მოძრაობა“ და მასთან ასოცირებული ძალები არ არის ერთადერთი, რომლებიც თვლიან, რომ მმართველი გუნდის ხელში საკონსტიტუციო უმრავლესობა არის საშიში. ამასვე ამბობენ კოალიციის ყოფილი წევრებიც, მაგალითად — რესპუბლიკელები...

— როდესაც ვლაპარაკობთ არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილზე, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ხმა და მეტი არაფერი, მაგრამ როდესაც ვლაპარაკობთ კოალიციის ყოფილ წევრებზე, ყველა ასე არ ფიქრობს, თუნდაც იგივე „რესპუბლიკურ პარტიაში“ ყველა არ ფიქრობს ასე. სხვა რამეს ამბობს თინა ხიდაშელი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, სხვა რამეს ამბობს დავით ბერძენიშვილი.

— რითი ხსნით დავით ბერძენიშვილის კრიტიკას, რატომ გახდა ასეთი კრიტიკული მმართველი გუნდის მიმართ?

— შეიძლება ჩავატაროთ ფსიქოანალიზი, ეს კაცი არის დაბოღმილი, თავის მშობლიურ ქალაქში 843-მა ადამიანმა მისცა ხმა და ამიტომ არის დაბოღმილი. ცუდია თუ კარგი საკონსტიტუციო უმრავლესობა, მოდით, ამოვიდეთ იქიდან, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა არც ცუდია და არც კარგია, გაარჩინა მას როგორ გამოიყენებ.

— მაინც რისთვის გჭირდებათ საკონსტიტუციო უმრავლესობა?

— საკონსტიტუციო უმრავლესობა საჭიროა მხოლოდ იმისათვის, რომ ქვეყნის კონსტიტუცია გააკეთილშობილო, გაუარესებით ამ კონსტიტუციას უკვე ვეღარ გააუარესებ. ეს არის ის, რა არჩევანის წინაშე ვდგავართ, არჩევანი არის ძალიან მარტივი. ისინი, ვინც განგაშის ზარებს ტეხენ, ატყუებენ საზოგადოებას, მათი მიზანია რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჰყავდეს „ნაციონალურ მოძრაობას“, თუნდაც ერთით მეტი — 28 დეპუტატი ჰყავდეთ.

— ეს კამპანია გავლენას იქონიებს მეორე ტურზე?

— არა. ეს რომ გავლენას არ მოახდეს, ცხადია და ამაზე საერთოდ არ ვნერვიულობთ. „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას მიიღებდა 2012 წელს, სააკაშვილს რომ არ გაეყალბებინა არჩევნები. გაყალბებითაც კი მოვუგეთ, აბსოლუტური უმრავლესობა გვქონდა, რომელიც ხშირ შემთხვევაში კონსტიტუციის შეცვლისთვის საკმარისი იყო. იცით, რომ დავით უსუფაშვილის ხელმძღვანელობით არსებობდა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც იმუშავა და თვითონ უსუფაშვილისგან მოვისმინე, რომ 100-ზე მეტი ცვლილების პროექტი შეიქმნა.

ეს არის ცვლილებები, რომელსაც მიესალმებოდნენ „თავისუფალი დემოკრატები“, „ფორუმიც“, „რესპუბლიკელებიც“, „მრეწველებიც“ და „ქართული ოცნებაც“, ეს ყველაფერი უნდა გახდეს საყოველთაო განსჯის საგანი და აქედან შეიძლება 2 ცვლილება იქნეს მიღებული, ან 64. ჩვენ ამაზე არ ვჩქარობთ, არ ვნერვიულობთ, ნაკლებად გვაღელვებს ყველა ეს საკითხი. არ უნდათ კონსტიტუციის ცვლილება, კი ბატონო, დარჩეს მაჟორიტარული სისტემა ისე, როგორც არის.

— ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში რჩება. შეიცვალა რამე?

— ეს გადადებული თემა არის მაშინდელი ჩვენი კოალიციის წევრებისა თუ ოპოზიციის მიერ. ამ ცვლილებას რატომღაც არ მოჰყვა მათი მხარდაჭერა. მაშინ ითქვა, რომ მაჟორიტარულ სისტემასთან დაკავშირებით ცვლილება უნდა შესულიყო 2020 წლის კონსტიტუციაში, მაგრამ არ შევიდა. იმიტომ, რომ მაშინ „ქართული ოცნების“ გარდა, სხვა პოლიტიკურმა ძალებმა მხარი არ დაუჭირეს. ეს საკითხი გუნდისთვის გადადებული არ არის.

პარლამენტი იმიტომ არის პარლამენტი, რომ თავისი შეხედულებით განსაზღვროს. მე თანახმა ვარ, როგორც ამ საკითხზეც, ისევე როგორც შეიძლება სხვა საკითხი გამოჩნდეს, ჩავატაროთ რეფერენდუმი და ხალხს ვკითხოთ, უნდათ მაჟორიტარული სისტემის გაუქმება თუ არა. აინტერესებს პარტიებს ხალხის ხმა? — კი ბატონო, მოუსმინონ ხალხს. ისეთ მოდელს არ მივიღებთ, რომელიც მიუღებელი იქნება პარტიათა უმრავლესობისათვის.

— თუმცა, ოპოზიცია ამბობს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა გჭირდებათ მხოლოდ იმისთვის, რომ შეცვალოთ პრეზიდენტის არჩევის წესი. რა პასუხი გაქვთ ამაზე?

— როგორი უნდა იყოს პრეზიდენტის არჩევის წესი, ამას განსაზღვრავს პარლამენტი. პრეზიდენტი არჩეულია 2018 წლის ოქტომბრამდე და, შესაბამისად, 2018 წლის ოქტომბრამდე იქნება პრეზიდენტი. შემდეგ უკვე როგორი წესი იქნება, ამაზე იმსჯელებს პარლამენტი, გადაწყვეტილებას ფართო კონსენსუსის წესით მივიღებთ. ჩემს პირად აზრს თუ მკითხავთ, იდეაში სულაც არ ვეწინააღმდეგები, დავბრუნდეთ საპრეზიდენტო მმართველობაში, მაგრამ არა ისეთი სისტემით, როგორიც სააკაშვილი იყო, არამედ გაწონასწორებული პრეზიდენტი, გაწონასწორებული ძლიერი პარლამენტით.

ამერიკაში და საფრანგეთში საპრეზიდენტო მმართველობაა და არა მგონია, რომ რამე უარყოფითი ჰქონდეთ. ისევე როგორც საპარლამენტო რესპუბლიკა არის პრემიერით და ძლიერი პარლამენტით ესპანეთში და გერმანიაში და არც მათ აქვთ რაიმე უარყოფითი. ყველა მოდელი შეიძლება იყოს მისაღები და ამაში რამე საფრთხეს ვერ ვხედავ.

— თავის დროზე სააკაშვილის სურვილით „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კონსტიტუცია შეცვალა იმიტომ, რომ მარიამ საჯაია შესულიყო პარლამენტში...

— „ნაციონალურ მოძრაობას“ ვერასდროს ვერ აღვიქვამ როგორც სერიოზულ ოპონენტს. როდესაც ისინი ლაპარაკობენ კონსტიტუციურ მოწყობებზე და ადამიანის უფლებებზე, ყველაზე სწორ რამესაც რომ ამბობდნენ, ვერ მივიღებ მათ კრიტიკას მანამ, სანამ არ მოინანიებენ იმ დანაშაულს, რაც ჩაიდინეს 9 წლის განმავლობაში.

ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, როდესაც ვიღაცები „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ლაპარაკობენ, როგორც პროდასავლურ ძალაზე. იმიტომ, რომ რასაც ისინი აკეთებენ, ეწინააღმდეგება ყველანაირ იმ დასავლურ ღირებულებას, რაზეც ჩვენ ვიზრდებოდით. ეს არის ძალა, რომელიც დარბოდა ევროკავშირის სტრუქტურების დერეფნებში და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ როგორმე საქართველოს ხელი არ მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებისთვის და როგორმე არ მიეღო ვიზალიბერალიზაცია. ამ ძალისგან ვერ მივიღებ ვერანაირ წინადადებას და შენიშვნას.

— კოალიციის ყოფილი წევრი, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკური კლასი აკლია. როგორ ფიქრობთ, დავით უსუფაშვილს რომ დამოუკიდებლად ეყარა კენჭი, უფრო მეტ ხმას მიიღებდა? ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში ამომრჩეველმა შეაფასა არა უსუფაშვილი, არამედ „რესპუბლიკური პარტია“.

— „რესპუბლიკური პარტიის“ წევრები ამბობდნენ, რომ მათთვის შეურაცხმყოფელია ლევან ბერძენიშვილს ოპონენტად ჰყავდეს ზაზა ხუციშვილი, ან დავით უსუფაშვილის ოპონენტი იყოს ლევან გოგიჩაიშვილიო, მაგრამ სინამდვილეში ყველამ დავინახეთ, რომ ჩვენი ოპონენტები სულაც არ იყვნენ რესპუბლიკელები. რეალურად ჩვენ ვინც გვიპირისპირდებოდა და ვისთანაც გვაქვს მეორე ტური, ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“.

ამიტომ, არ უნდა გააკეთოს ადამიანმა გადაჭარბებული შეფასება საკუთარ შესაძლებლობებზე. ვიმეორებ, თუ ვიღაცა ფიქრობს, რომ მათ დროს გაუსწრეს და ქართველი ხალხი ჩამორჩა, მაშინ დაელოდოს იმ დროს, როდესაც ქართველი ხალხი დაეწევა, ოღონდ თვითონ უნდა გაჩერდნენ, არ განვითარდნენ მანამდე, რომ კიდევ არ „გაგვისწრონ“ ძალიან.

— გასაგებია, მაგრამ პოლიტიკური კლასი აკლია „ქართულ ოცნებას“?

— „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა თავის პარტნიორებთან ერთად წარმოუდგენელი რამ შეძლეს. ქვეყანა შემოატრიალეს დემოკრატიის გზაზე, ქვეყანაში დაამარცხეს რეჟიმი, რომელსაც გათვლილი ჰქონდა, რომ 30 წლის განმავლობაში იქნებოდა ხელისუფლებაში. 4 წლის მერე „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მას აქვს ხალხის ნდობა და ის რევანში, რომელზეც გათვლა ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“, არათუ არ შედგა, არამედ ჩაფლავდა და კრახით დასრულდა. „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო ძალიან მყარი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა და მყარი დემოკრატიული სტანდარტით ქვეყნის მართვა შეესაბამებინა სწრაფ ეკონომიკურ განვითარებასთან.

მართლაც, ძალიან სწრაფი იყო ეკონომიკური განვითარება, თუ შევადარებთ იმას რა ხდებოდა ჩვენს ირგვლივ და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს დაგროვილი რამდენად მძიმე სოციალური პრობლემები იყო გადასაწყვეტი. პირველი ოთხი წელი მოვანდომეთ პირველადი სოციალური საჭიროებების გადაწყვეტას. მომდევნო 4 წელი დაიგეგმა სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაზე და ეს იყო ძალიან ლოგიკური.

— 30 ოქტომბერს 50 საარჩევნო უბანში ტარდება მეორე ტური, რა მოლოდინი გაქვთ, ელოდებით, რომ 50-ვე უბანში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს?

— პირველ ტურში ყველა პარტია ამბობდა, რომ ის მოდის უმრავლესობით და „ქართული ოცნება“ დამთავრდებოდა. ერთადერთი პარტია, ვისი პროგნოზიც გამართლდა, ვიყავით ჩვენ. იმავეს ველოდებით მეორე ტურში, ველოდებით, რომ 50-ვე ოლქში გავიმარჯვებთ. ჩვენ გვაქვს ქართველი ხალხის მხარდაჭერის იმედი. ამ იმედით გავიმარჯვეთ 2012 წელს, 2014 წელს თვითმმართველობებში და 2016 წელს და ეს იმედი გვაქვს 2016 წლის 30 ოქტომბერს.

ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, როდესაც ვიღაცეები „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ლაპარაკობენ, როგორც პროდასავლურ ძალაზე. იმიტომ, რომ რასაც ისინი აკეთებენ, ეწინააღმდეგება ყველანაირ იმ დასავლურ ღირებულებას, რაზეც ჩვენ ვიზრდებოდით. ეს არის ძალა, რომელიც დარბოდა ევროკავშირის სტრუქტურების დერეფნებში და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ როგორმე საქართველოს ხელი არ მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებისთვის და რომ არ მიეღო ვიზალიბერალიზაცია. ამ ძალისგან ვერ მივიღებ ვერანაირ წინადადებას და შენიშვნას.

თუ ვიღაცა ფიქრობს, რომ მათ დროს გაუსწრეს და ქართველი ხალხი ჩამორჩა, მაშინ დაელოდოს იმ დროს, როდესაც ქართველი ხალხი „დაეწევა“...

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

მალხაზ აბდუშელიშვილი – ფიზიკური ანთროპოლოგიის ფუძემდებელი



გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ფიზიკური ანთროპოლოგიის ფუძემდებელს, აკადემიკოს მალხაზ აბდუშელიშვილს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

მალხაზ აბდუშელიშვილი დაიბადა 1926 წლის 28 თებერვალს თბილისში, მამა – გრიგოლ აბდუშელიშვილი ექიმი იყო. დედა – ფსიქოლოგი. 1945 წელს დაამთავრა მე-18 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში ანთროპოლოგიის განხრით. მას წილად ხვდა დიდი მეცნიერების და პიროვნებების – ალექსანდრე ნათიშვილისა და გიორგი დებეცის მოწაფე ყოფილიყო. მას ეს ყოველთვის ახსოვდა და დიდ ძალას და შემართებას მატებდა. საკანდიდატო დისერტაცია მიუძღვნა სამთავროს სამაროვანს, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია საქართველოში.

1950-იან წლებში იწყება ქართველების ანთროპოლოგიური შესწავლის ახალი ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია ალექსანდრე ნათიშვილისა და მალხაზ აბდუშელიშვილის სახელებთან. პირველივე საველე სეზონში შეისწავლეს 15 ეთნოტერიტორიული ჯგუფი. კვლევის შედეგად გამოაქვთ დასკვნა, რომ ქართველები სომხებთან, ასირიელებთან და მცირეაზიელ ბერძნებთან ერთად წინაარაბული ჯგუფების შემადგენლობაში შედიან (ნათიშვილი, აბდუშელიშვილი 1953, გვ. 21). 1950-იანი წლები მალხაზ აბდუშელიშვილის ცხოვრებაში ძალიან აქტიური, საინტერესო პერიოდი იყო, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი მის მეცნიერულ მოღვაწეობას. მოკლე დროში ერთიანი პროგრამის საფუძველზე, რომელიც შეთანხმებული იყო გიორგი დებეცთან, შესწავლილი იქნა კავკასიის 118 ეთნოტერიტორიული ჯგუფი. ამ დროს კავკასიაში მუშაობდა კიდევ ერთი ჯგუფი დაღესტანსა და აზერბაიჯანში, რომელსაც გ. დებეცი ხელმძღვანელობდა. საქართველო და დანარჩენი კავკასია მთლიანად მალხაზ აბდუშელიშვილის (კეფალოსკოპია) და გივი ჯანბერიძის (კეფალომეტრია) შესწავლილია. ეს მასალები კავკასიის ხალხთა ორიგინალური კლასიფიკაციის საფუძველი გახდა, რაც განხილული იყო მალხაზ აბდუშელიშვილის სადოქტორო დისერტაციაში და იმავე სახელწოდების მონოგრაფიაში. მალხაზ აბდუშელიშვილის სამეცნიერო ნაშრომებს შორის ორ ათეულზე მეტი მონოგრაფიული ხასიათისაა. მისი მოღვაწეობის ძირითად სფეროს წარმოადგენდა ეთნიკური, ისტორიული ანთროპოლოგია, როგორც თავად უწოდებდა, ანუ ქართველი ხალხის კავკასიისა და ინდოეთის ხალხების ანთროპოლოგიური ისტორია.

მ. აბდუშელიშვილი წარმატებით იკვლევდა როგორც ძველი, ისე თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებებს, რაც მას საკვლევი ხალხების, უძველესი დროიდან დღემდე წარმოშობისა და ჩამოყალიბების შესწავლის საშუალებას აძლევდა.

ბუნებრივია, რომ მ. აბდუშელიშვილის შრომების უმეტესობა ეხება საქართველოს მოსახლეობას. საქართველოს უძველესი მოსახლეობისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან უნდა აღინიშნოს: „ანთროპოლოგიური მასალები საქართველოს უძველესი ისტორიისათვის“ (1975), „ანთროპოლოგიური მასალები საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიისათვის. სტატიები, რომლებიც ეხებოდა საქართველოს რიგ სამაროვნებს (სამთავროს, 1954, 1960; სიონის; ნოქალაქევის, 1981; ვანის ქვაბების და ა. შ.). ამ ნაშრომებმა პირველად შეგვიქმნეს წარმოდგენა საქართველოს ძველი მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპების თავისებურებებსა და მათ ანთროპოლოგიურ ურთიერთობებზე უახლოეს და შედარებით დაშორებულ მეზობლებთან, აგრეთვე დადგენილიყო საქართველოს ძველი და თანამედროვე მოსახლეობის ჩამოყალიბებისა და ფორმირების დინამიკა და ტრანსფორმაციის მიმართულება.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამთავროს სამაროვანს. ეს ის სამაროვანია, საიდანაც დაედო დასაბამი კრანიოლოგიურ კოლექციას საქართველოდან ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოს. ამ სამაროვანზე პირველად მოპოვებულმა მასალამ ცხადყო, რომ მოსახლეობა, რომელიც იმარხებოდა სამთავროში, დიდი დროის მანძილზე (ბრინჯაოდან მოყოლებული ადრეული შუასაუკუნეების ჩათვლით) არ იყო ერთგვაროვანი. გამოყოფილი იყო სამთავროს პირველი და სამთავროს მეორე ვარიანტები (1954). ნაშრომში სამთავროს მეორე ვარიანტის არსებობა, მ. აბდუშელიშვილის აზრით, არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ეპოქალური ტრანსფორმაციის შედეგი. მან ორივე სამთავროს ვარიანტი მიაკუთვნა ევროპეიდულ რასას: პირველი – ევროპეიდული რასის ხმელთაშუა ზღვისპირულ შტოს, მეორე – სახეშეცვლილ „ევრო-აფრიკულ“ ტიპს, რომელსაც ახასიათებს ზოგიერთი პროტო-ევროპეიდული ტიპისადმი დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ ამავე დროს, ალვეოლიალური პროგნოტიზმი არ ახასიათებს. მიუხედავად ვარიანტებს შორის აშკარა განსხვავებისა, ვარაუდობდა ამ ტიპების მქონე მოსახლეობას შორის მჭიდრო კავშირს ენეოლითსა და უფრო ადრინდელ დროში.

არანაკლები მნიშვნელობისაა სხვა სამაროვნებიდან მოპოვებულ მასალებზე დაწერილი სტატიები თუ მონოგრაფიები. იგი წერს: „ახალი მასალების შესწავლამ გაზარდა მსგავსი ანთროპოლოგიური ტიპების არეალი არა მარტო დროში, არამედ სივრცეში: **ეს უკვე გარკვეულ საფუძელს გვიქმნის, დავუშვათ მცხეთასა და დილმის ველის უძველესი მოსახლეობის უშუალო გენეტიკური ურთიერთდამოკიდებულება გვიანი ბრინჯაოდან ადრეფეოდალურ ხანამდე“. ადრეფეოდალური ხანის ანთროპოლოგიური მასალები უკვე სრულიად გარკვევით ამჟღავნებენ მსგავსებას როგორც დილმის ადრეულ სერიებთან, ისე სამთავროს სინქრონულ სერიებთან, რაც აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლეობის უწყვეტი თანამიმდევრობის მაჩვენებელია“.** და ასკვნის: „დამოწმებულია ანთროპოლოგიური ტიპების გენეტიკური კავშირების ურთულესი მექანიზმი სივრცესა და დროში“ (1954)

ელინისტური ხანის ანთროპოლოგიურმა მასალებმა ნოქალაქევიდან (სენაკის რ-ნი) მ. აბდუშელიშვილს საშუალება მისცა ადრე მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებული ანთროპოლოგიური ტიპის გავრცელების არეალი გაეფართოებინა. აგრეთვე დადასტურდა, რომ **ელინისტური ხანის მოსახლეობა საქართველოში ეკუთვნოდა ხმელთაშუა ზღვისპირულ რასობრივ ტიპს და რომ ამ ტიპის პარალელების ძიებას სივრცეში, პირველ რიგში, მივყავართ დასავლეთისა და სამხრეთისაკენ და არა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ** (გვ. 217).

საქართველოს უძველესი მოსახლეობის ანთროპოლოგიური ისტორიის შესწავლამ მ. აბდუშელიშვილი მიიყვანა კავკასიის მოსახლეობის ასეთივე დეტალური შესწავლის აუცილებლობამდე. კავკასიის ძველი მოსახლეობის ანთროპოლოგიას მიეძღვნა მონოგრაფიები: „კავკასიის ძველი და თანამედროვე მოსახლეობის კრანიოლოგიისათვის“ (1966), „კავკასიის მოსახლეობა ელინისტურ ხანაში“ (1987). **ამ ნაშრომებში პირველად დადგინდა უდიდესი სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე ფაქტი კავკასიის ტერიტორიაზე ძველი და თანამედროვე მოსახლეობის ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ. მან აგრეთვე გამოთქვა მნიშვნელოვანი დებულება იმის შესახებ, რომ პალეოანთროპოლოგიური ტიპების მორფოლოგიური სიახლოვე მატულობს მათი ქრონოლოგიური ასაკის მატებასთან ერთად, რაც თავის მხრივ მანიშნებელია იმისა, რომ ადგილობრივ პოპულაციებს შორის მსგავსება პირველადია, ხოლო დიფერენციაცია მათ შორის – მეორადი, ჩამოყალიბებული მოგვიანებით, ისტორიის შემდგომ პერიოდში.**

შრომების მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენენ საქართველოს, კავკასიისა და ინდოეთის თანამედროვე მოსახლეობის შესწავლისადმი მიძღვნილი გამოკვლევები.

საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში ბ-ნი მალხაზის მიერ შესწავლილი ჯგუფები საფუძვლად დაედო ათზე მეტ მონოგრაფიასიას, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მონოგრაფია: „Антропология двернего и современного населения Грузии“ (1964). საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური შედგენილობის შესწავლამ საფუძველი მისცა მას შეექმნა ქართველების საყოველთაოდ აღიარებული კლასიფიკაცია. **ქართველებში მან გამოყო სამი ანთროპოლოგიური ტიპი: კოლხური** (ვარიანტებით – შავიზღვისპირული და დასავლურ-ქართული), **იბერიული** (აღმოსავლურ-ქართული და სამხრეთ-ქართული) და **კავკასიონის ტიპი.** ზოგადად, ნებისმიერი კლასიფიკაცია ეფუძნება მორფოლოგიური ნიშნების ცვალებადობას და მათი გარკვეულ ტერიტორიაზე გავრცელებას. ამისათვის გამოყოფენ ტაქსონომიურად მეტად ღირებულ ნიშნებს. ასეთი მნიშვნელობის ნიშანი კავკასიაში ყვრიმალთაშუა დიამეტრი აღოჩნდა. სწორედ ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობისაა მისი ორი სტატია, რომელთა გარეშე თანამედროვე ქართველებისა და კავკასიის მოსახლეობის აბორიგენობა, მათი უწყვეტი განვითარება და ჩამოყალიბება ამ ტერიტორიაზე გაუგებელი გახდებოდა.

კავკასიის ხალხების შესწავლის საფუძველზე მიღებული მონაცემების განზოგადებას ეძღვნება მ. აბდუშელიშვილის სტატიები, რომლებიც ეხება საერთოდ სამხრეთევროპული რასის გენეზისს. მათში ავტორი ძირითადად ავითარებს და ასაბუთებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამხრეთევროპეიდებისა და ამდენად, ყველა ევროპეიდების საერთოდ ფორმირებისა და ჩამოყალიბების არეალი მოიცავდა ამიერკავკასიის სამხრეთ და ახლო აღმოსავლეთისა და წინა აზიის ჩრდილო რეგიონებს.

მ. აბდუშელიშვილს ეკუთვნის აგრეთვე თანამედროვე ანთროპოლოგიის მრავალი აქტუალური პრობლემისადმი მიძღვნილი ნაშრომები.

მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ორი სახელმძღვანელო: „კრანიოლოგია“ (1976), რომელშიც განხილულია ადამიანის თავის ქალის ანატომიური და ანთროპოლოგიური თავისებურებები, მათი შესწავლის ხერხები, მიღებული მასალების დამუშავება და მეცნიერული განზოგადება. პირველად ამ ნაშრომშია გამოქვეყნებული კრანიოლოგიური წერტილების სრული ქართული ტერმინოლოგიური შესატყვისები, კრანიოლოგიური ნიშნების კლასიფიკაციის ორიგინალური სქემა, მრავლობითი მასალების დამუშავების ახალი მეთოდი (კაეგორიალური გამოთვლის მეთოდი).

მეორე სახელმძღვანელო – „Антрологическая методика“ (1992) – რუსულ ენაზე გამოვიდა და მაღალი შეფასება მიიღო ყოფილი საბჭოთა კავშირის ანთროპოლოგების მიერ.

ბ-ნი მ. აბდუშელიშვილი დიდი სიყვარულითა და მადლიერებით წერდა თავის მასწავლებლებზე, კოლეგებსა და თანამშრომლებზე, მის კალამს ეკუთვნის მოგონებები: ა. ნათიშვილზე, გ. დებეცზე, ი. ჯავახიშვილზე, ნ. ბერძენიშვილზე, გ. ნიორაძეზე, ს. კახიანზე და სხვა.

ამდენად, მალხაზ აბდუშელიშვილის ინტერესთა სფერო ანთროპოლოგიის ფართო სპექტრს მოიცავდა: პალეოანთროპოლოგია, კრანიოლოგია, სომატოლოგია, ეთნიკური ისტორია და ეთნოგენეზი, ანთროპოლოგიური ნიშნების ცვალებადობა სივრცესა და დროში, რასობრივი ნიშნების ასაკობრივი ცვალებადობა, სქესობრივი დიმორფიზმი, მოზარდების განვითარება საქართველოში, β-ტალასსემიის გავრცელება, ახალშობილების ფიზიკური განვითარებაზე მავნე ტრადიციის შორეული შედეგები, რასობრივი და მორფოლოგიური ნიშნების ურთიერთთანაფარდობა და ა.შ. მისი ნაშრომებიდან ირკვევა უძველესი და თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებება, ეპოქალური ტრანსფორმაციის მიმართულება, კავკასიელთა აბორიგენობა და უწყვეტი განვითარება, გვიქმნის წარმოდგენას საქართველოს ძველი მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპების თავისებურებებზე და მათ ანთროპოლოგიურ ურთიერთობებზე უახლოეს და შედარებით დაშორებულ მეზობლებთან და ა.შ

ბ-ნ მალხაზის საქმე გრძელდება და ანთროპოლოგიის განყოფილების თანამშრომლები, ვგრძნობთ, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია ვემსახუროთ იმ საქმეს, რასაც ქართული ანთროპოლოგია ეწოდება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

თქვენთვის, ფილატელისტებო!

2016 წლის 24 ოქტომბრიდან მიმოქცევაში ახალი საფოსტო მარკები ჩაეშვა. ქართული მარკები 6 თემატიკას მოიცავს.



ახალი მარკები, პირველი ვიცე-პრემიერის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის შესაბამისი ბრძანებით გამოიცა. საფოსტო მარკები რამდენიმე თემას აერთიანებს: „ზაფხულის ოლიმპიური თამაშები 2016 წელი, რიო დე ჟანეირო“; ეკოლოგია ევროპაში; საქართველოს ფაუნა და „ქართული ზღაპრების პერსონაჟები“.

მიმოქცევაში გაშვებულ მარკებს შორის მიმდინარე წლის 9-15 მაისს თბილისში ჩატარებული ევროპული კვირეულისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკაცაა.

ახალი საფოსტო მარკების შეძენა შპს „საქართველოს ფოსტა“-ს სერვის-ცენტრებშია შესაძლებელი.

◎ წინ, საქართველო!

ევროპას მსოფლიოც მიუმატა



ახალგაზრდა ქართველი ძალოსანი ირაკლი ჩხეიძე მსოფლიოს ჩემპიონია! მალაიზიის ქალაქ პენანგში დასრულებულ პლანეტის პირველობაზე ჭაბუკთა შორის, 94 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე ჩვენმა თანამემამულემ ატაცში 154 კგ, აკვრაში კი 186 კგ. დაიმორჩილა და ორჭიდში მოპოვებული შედეგით — 340 კგ. უმაღლესი ტიტული მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატის მოგების შემდეგ ირაკლი ჩხეიძე მსოფლიო პირველობაზეც ერთ-ერთი ფავორიტი იყო.

საქართველოს ჭაბუკთ ნაკრები მალაიზიაში 2 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. + 94 კგ-ში B ჯგუფში გამოვიდა თორნიკე ტაბატაძე, რომელმაც საბოლოოდ მე-4 ადგილი დაიკავა.

მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი ჩხეიძე თბილისში დღეს დოჰა-თბილისის რეისით 19 საათზე ჩამოფრინდება.

ზურაბ ანთაური (ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„ტაქტიკურად მოვიგეთ. სასიამოვნოა, როდესაც ყველაფერში პირველზე ხარ, მაგრამ როგორც საჭირო იყო, ისე წავიყვანეთ პროცესი. რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილი ვარ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ჩვენს გვერდით იდგა და ყველანაირად გვეხმარებოდა, განსაკუთრებით — ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტს კახი კახიაშვილს. ჩვენი ძალოსნობისთვის, ჩვენი სპორტისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის ეს მნიშვნელოვანი დღეა. ირაკლიმ 6 შესაძლებლობიდან ექვსივე წარმატებით გამოიყენა. ეს კლასია“.**

ბადრი იაშვილი

ასე ნანატრი გამარჯვება

საქართველოს პირველმა ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა კარიერაში ჯერ-ჯერობით უმნიშვნელოვანესი გამარჯვება ავსტრიის დედაქალაქ ვენის კორტზე ტოპ-ათეულის ჩეხ წევრთან თომას ბერდიხთან მოიპოვა — 6:4, 6:7, 7:5. პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის სასტარტო ეტაპის შეხვედრა ორსაათნახევარს გაგრძელდა.

ჩვენი თანამემამულის მორიგი მეტოქე რუსეთელი კარენ ხაჩანოვი იქნება, რომელმაც იტალიელ ანდრეა სეპის სძლია ორ პარტიაში.

აქამდე რეიტინგის 107-ე ნომრის აქილევსის ქუსლად ფსიქოლოგიური მდგრადობის დეფიციტი ითვლებოდა, ამიტომ მას შემდეგ, რაც მან 4:1-ის შემდეგ მეორე ხელი რამდენიმე გამოუყენებელი სეტ-პოინტის გამო ტაი-ბრეიქზე დათმო, ძნელი სავარაუდო იყო, რომ იგი ემოციებს დათრგუნავდა და ფავორიტს გადამწყვეტ ჩხვლეტას მიაყენებდა. საბედნიეროდ, ნიკა, უპირველესად, საკუთარ თავს მოერია და დიდი ნაბიჯი გადადგა ელიტური ასეულისკენ.

არადა, აღნიშნული ბრძოლის წინ მოტივაცია არც ბერდიხს აკლდა. მოგეხსენებათ, მალე ლონდონი სეზონის შემაჯამებელ ასპარეზობას უმასპინძლებს, იქ მოხვედრა კი ჩეხმა ამ დამარცხებით საგრძნობლად გაირთულა.

სხვათა შორის, სტაბილური თამაშით არც თომასი გამოირჩევა, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აფერმკრთალებს ბასილაშვილის წარმატებას. ვიმედოვნებთ, იგი კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

ბურჯანაძე — საუკეთესოთა შორის

ბექა ბურჯანაძეს გასულ უქმეებზე გამოჩენილი შედეგიანობა დაუფასდა და ის ტურის საუკეთესო 10-ეულში მოხვდა. ესპანეთის ჩემპიონატის მე-5 ტურში მისმა „ანდორამ“ ლიდერი „ბილბაო“ დაამარცხა, რაშიც სოლიდური წილი ქართველებმა — გიორგი შერმადინმა და, განსაკუთრებით, ბექა ბურჯანაძემ დაიდეს. ეს უკანასკნელი პორტალ EUROBASKET.COM-ის ვერსიით ტურის საუკეთესოთა შორის მოხვდა.

ბექა თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 20 წუთში 16 ქულა, 3 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 2 პასი მოაგროვა. ის კლუბს, რომელშიც საქართველოს ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი წევრი გიორგი შერმადინი ირიცხება, მიმდინარე სეზონის წინ შეუერთდა, თუმცა, გუნდს მოკლე ხანში შეეწყო.

ბურჯანაძე „ანდორას“ მიერ ჩატარებულ ოთხივე (პირველ ტურში ანდორელებმა დაისვენეს) მატჩში მონაწილეობდა, მისი საშუალო მაჩვენებლები კი ასეთია: 16 წუთი, 13 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1.5 ჩაჭრა.

Eurobasket.com-ის ვერსიით, მე-5 ტურის საუკეთესო კალათბურთელთა შორის ქართველი ფორვარდი მე-10 ადგილზეა, პირველი ადგილი კი „ბასკონიაში“ თორნიკე შენგელიას გერმანელ თანაგუნდელ იოჰანეს ვოიგტმანს ერგო. 24 წლის გერმანელმა ცენტრმა ბადალონაში „ხუვენტუტთან“ მოგებულ (90:83) შეხვედრაში 14 ქულა, 7 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. თავად შენგელიას აქტივში 14 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება იყო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფორმულა — 1

ჰამილტონის 50-ე

ლუის ჰამილტონმა თავისი 50-ე გამარჯვება ოსტინში, აშშ-ის დიდი პრიზის რბოლაში მოიპოვა და ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერ ნიკო როსბერგთან ჩამორჩენა 26 ქულამდე შეამცირა. გერმანელი პილოტი, ვისაც ამ სეზონში 9 გამარჯვება აქვს, მეორე ადგილს დასჯერდა.

ჰამილტონმა ტეხასურ ტრეკზე ხუთ სეზონში მეოთხე რბოლა მოიგო, რითაც მოუგებელი რბოლების სერია დაასრულა. მანამდე ბოლო გამარჯვება ინგლისელს გერმანიის დიდ პრიზზე ჰქონდა მოპოვებული. მან პოულიდანვე კარგი სტარტი აიღო და რბოლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დაკარგა მოწინავე პოზიცია, როცა პირველი პიტსტოპი შეასრულა.

„შტატებში ყოფნა ყოველთვის მომწონს. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც შინ. ახლა ისღა დამრჩენია, სეზონის ბოლომდე ისევე კარგად ვირბოლო, როგორც ამ უქმეებზე. ნიკო მთელი წლის განმავლობაში ფანტასტიკურად ასპარეზობს. ასე რომ, მასთან ბრძოლა გაგრძელდება“, — რბოლის შემდგომ, კვარცხლბეკზევე მიცემული ინტერვიუსას, რომელსაც ჰოლივუდის ბრიტანელი ვარსკვლავი ჯერარდ ბატლერი უძღვებოდა, განაცხადა ჰამილტონმა.

უნდა ითქვას, რომ ჰამილტონი ფორმულა 1-ის ისტორიაში მესამე მრბოლია, ვისაც 50 და მეტი რბოლა აქვთ მოგებული. პირველი ორი ალენ პროსტი და მიხაელ შუმახერია. პროსტის ანგარიშზე 51 გამარჯვებაა, შუმახერს კი 91 რბოლა აქვს მოგებული.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

ესპანელებმა ფრანგი გამოარჩიეს

მადრიდის „ატლეტიკოს“ შემტევი ანტუან გრიზმანი ესპანეთის ჩემპიონატის 2015/2016 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ფრანგმა ფეხბურთელმა აღნიშნულ ნომინაციაში გამარჯვება ვალენსიაში გამართულ ლა ლიგის გასული სეზონის ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონიალში მოიპოვა. გარდა ამისა, ანტუანი ფანების რჩეულიც გახდა.

ცნობისთვის: გრიზმანმა გასულ ლა ლიგაში 38 შეხვედრა ჩაატარა, 22 გოლი გაიტანა და 6 საგოლე გადაცემა მიითვალა.

სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულთა ვინაობა ასე გამოიყურება:

მეკარე: იან ობლაკი („ატლეტიკო“);

მცველი: დიეგო გოდინი („ატლეტიკო“);

ნახევარმცველი: ლუკა მოდრიჩი („რეალი“);

თავდამსხმელი: ლიონელ მესი („ბარსელონა“);

უცხოელი ფეხბურთელი: ლუის სუარესი („ბარსელონა“);

სეზონის აღმოჩენა: მარკოს ასენსიო („ესპანიოლი“ — ამჟამად „რეალი“);

ფანების რჩეული: ანტუან გრიზმანი („ატლეტიკო“);

სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი: ანტუან გრიზმანი („ატლეტიკო“);

მწვრთნელი: დიეგო სიმეონე („ატლეტიკო“).

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ჟოზეფინა, ივანი და სერიალები...

ჩილელი მოდელი ჟოზეფინა კისტერმასი წლების წინათ მთელს ლათინურ ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და პოპულარულ ლამაზმანად ითვლებოდა. ამ ქალისადმი საყოველთაო ყურადღებას მართლაც აღსანიშნავი გარეგნული მხარეების გარდა ისიც განაპირობებდა, რომ ჟოზეფინა ფეხბურთელ ივან სამორანოს გულისსწორი გახლდათ.

ივან სამორანოსა და ჟოზეფინა კისტერმასს შორის დაახლოებით სამწლიანი ვნებიანი რომანი ლათინური სერიალის მსგავსად დასრულდა. ვეტერანი ფეხბურთელი ყველასათვის მოულოდნელად თავად გაშორდა ასეთ მწყაზარ ქალბატონს და დღემდე ვერავინ გაარკვია ამ გადაწყვეტილების მიზეზი.

ახლა ჟოზეფინა კისტერმასი სამოდელო საქმეს შეშვებულია, მაგრამ მისი პოპულარობა ჯერ კიდევ არ ჩანავლებულა, რადგან სხვადასხვა სატელევიზიო სერიალში მონაწილეობს და, როგორც იცით, ლათინოამერიკული სერიალები ჯერ კიდევ პოპულარული „საპნის ოპერებია“. თუ არ გჯერათ, ახლობელ შუახნის ქალბატონებში გაიკითხეთ...

როსტომ რაჭველიშვილი

მოვა, მაგრამ... როდის?!

ელექტრომობილების ბუმი საქართველომდე ჯერ ვერ აღწევს

მსოფლიოში ელექტრომობილების ბუმი იწყება. კონკურენცია ყველა მიმართულებით მძაფრდება. საქართველოში კი საერთაშორისო ტენდენცია ნელა იკიდებს ფეხს. ჯერჯერობით ქვეყანაში, როგორც ვიუწყებოდით, სულ 50 ელექტრომობილია და არც ერთი დასამუხტი სადგური.

იაპონური ავტოგიგანტის „ნისანის“ ინფორმაციით, დღესდღეობით იაპონიაში ბენზინგასამართ სადგურებზე უფრო მეტ ელექტრომობილების დასატენ სადგურს შევხვდებით. ასეთი სადგურების რიცხვი ქვეყანაში 40 000-ს აჭარბებს. **„ელექტრომობილების ბაზრის ზრდის პარალელურად ინფრასტრუქტურის განვითარებაცაა საჭირო“,** – ამბობს კომპანიის ფინანსური დირექტორი ჯოზეფ პიტერი.

თანამედროვე ერაში ელექტრონული ავტომობილები უფრო და უფრო დიდი

პოპულარობით სარგებლობენ. „ჯენერალ მოტორსის“ გენერალური დირექტორის მერი ბარას განცხადებით, ელექტრომობილები ავტოინდუსტრიის წამყვანი ნაწილი გახდება და ეს პროცესი საკმაოდ სწრაფი ტემპებით წავა წინ.

ელექტრომობილების მწარმოებლები ავტომობილების დასატენი სადგურების მშენებლობით არიან დაკავებულები. „ტესლა“ მომხმარებელს საკუთარ სადგურებს სთავაზობს, „ფოლკსვაგენი“ და „ბეემვე“ კი აშშ-ში სადგურების ქსელის ასამოქმედებლად თანამშრომლობენ.

მსოფლიო ტენდენცია საქართველოშიც იკიდებს ფეხს, მაგრამ ძალიან ნელა. ყვეყანაში ელექტრომობილების რაოდენობა მხოლოდ 50 ერთეულია. შესაბამისად, არსად ელექტროგასამართი სადგური არ არსებობს. რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კუს ტბის ასახვევთან და ევროპის მოედანზე (მეტეხთან) უახლოეს მომავალში, შესაძლოა, ელექტრომობილების დასატენი სადგურები გაიხსნას.

დედაქალაქის მთავრობამ შპს „i-sfeis“-ს ცენტრების მოწყობაზე მწვანე შუქი აუნთო და შესაბამისი ტერიტორიაც გამოუყო. ახალ გასამართ სადგურებში ელექტრომობილებს ერთი წლის განმავლობაში უფასოდ მოემსახურებიან.

„ეს თბილისში პირველი ელექტრომობილების მომსახურების სადგური იქნება. მთავრობამ კომპანიის ინიციატივა მოიწონა და მას ტერიტორიები გამოუყო. როგორც კომპანია ამბობს, ელექტრომობილებს უფასოდ მოემსახურებიან ერთი წლის განმავლობაში, თუმცა ეს დრო შეიძლება კიდევ გაიზარდოს“, – განაცხადეს სატრანსპორტო სამსახურში.

საკითხს მალე საკრებულოს სხდომაზე განიხილავენ და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, კომპანია მზადაა, სადგურები რამდენიმე დღეში დაამონტაჟოს.

უახლოეს პერიოდში, კომპანიას თბილისის სხვადასხვა უბნებში კიდევ 30-50 ცენტრის ამოქმედება აქვს განზრახული. მოგვიანებით კი, კომპანია საქართველოში ელექტრომობილების რეალიზაციასაც გეგმავს.

სატრანსპორტო კომპანიაში ასევე, განიხილავენ საკითხს, რომ რომელიმე საფეხმავლო ქუჩაზე ელექტროავტობუსების ხაზი გაკეთდეს, რომელიც ერთი მხრივ, მოსახლეობაში ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის პოპულარიზაციას გაზრდის, მეორე მხრივ კი, მგზავრების კომფორტზე იზრუნებს.

ელექტრომობილების სწრაფი მატება კი საერთაშორისო მასშტაბით პრობლემას უქმნის ნავთობინდუსტრიას. „კომერსანტის“ ცნობით, შესაძლოა, ნავთობგიგანტები სერიოზულად დაზარალდნენ. ამიტომაც მათ უნდა შეიმუშავონ სათადარიგო გეგმა იმ შემთხვევისთვის, თუ რადიკალური ტექნოლოგიური ცვლილებები საერთაშორისო ბაზრებზე მოხვდება იმაზე სწრაფად, ვიდრე ეს იყო მოსალოდნელი.

„თუ ისინი ჩაყოფენ თავს ქვიშაში იმ იმედით, რომ ყველაფერი მოგვარდება, მათ ექნებათ სერიოზული პრობლემები. ამიტომაც აუცილებლად სჭირდებათ მოქმედებების გეგმა“, – განაცხადა სარეიტინგო კომპანიის „ფიჩ“-ის მმართველმა დირექტორმა ალეკ გრიფიტსმა.

სააგენტო პესიმისტურ დასკვნას აკეთებს ისეთ კომპანიებთან დაკავშირებით როგორც „შევრონი“, „ექსონ მობილი“, „როიალ დაჩ შელი“.

ამავე დროს, სააგენტო თვლის, რომ ნავთობმოპოვება და გადამუშავება არაა ერთადერთი დარგი, რომელიც დაზარალდება ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად – ენერგოგენერაციის მსხვილ კომპანიებს, რომლებიც იყენებენ გაზს ან ნახშირს, მოუწევთ სერიოზული კონკურენცია მზის და ქარის ელექტროსადგურებთან, რადგანაც ახლო მომავალში ეფექტური სამრეწველო ელექტრობატარეები გადაწყვეტენ მათ წინაშე სადღეისოდ არსებულ პრობლემას – გამომუშავებული ენერგიის აკუმულირებას და შენახვას.

ბექა დანელია

რუსთავში 112-ის ცენტრი გაიხსნა

112-ის რუსთავის ცენტრის მიზანია, თბილისის 112-ის განტვირთვა და დაზღვევა.

„დღეს კიდევ ერთ ნაბიჯს ვდგამთ მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვისთვის. ჩვენ უკვე გავხსენით ერთობლივი ოპერაციების ცენტრი, რომელიც აძლიერებს ქვეყნის უსაფრთხოების სისტემას. რუსთავში მუშაობას იწყებს გადაუდებელი მართვის ოპერატიული ცენტრი. ეს იმას ნიშნავს, რომ შსს-მ 112 კიდევ უფრო ძლიერდება. 112-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სისტემაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, ის არის დამაკავშირებელი ხიდი, ყველაზე მძიმე წუთებში მყოფ მოქალაქესა და საგანგებო სამაშველო სამსახურებს შორის. შსს-ს ეს დანაყოფი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტს წარმოადგენს. მისი გამართული და უწყვეტი ფუნქციონირება სახელმწიფოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ცენტრის მიზანი თბილისის 112-ის განტვირთვა და მისი დაზღვევაა“, – აღნიშნა შსს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა.

მისივე თქმით,ორივე ცენტრი პარალელურ რეჟიმში იმუშავებს და ცენტრი მთელი საქართველოს მასშტაბით მიიღებს ზარებს 24 საათის განმავლობაში.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მურთაზ გერგედავას, ანგელინა ადამიას, იკა გერგედავას და ნიკა გერგედავას თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრეები:**
მურთაზ გერგედავა (პ/ნ 19001051911), ზუგდიდი, სოფელი ინგირი, ტაბიძის 19;
იკა გერგედავა (პ/ნ 19001105571), ზუგდიდი, სოფელი ინგირი, ტაბიძის 19;
ნიკა გერგედავა (პ/ნ 19001090197), ზუგდიდი, სოფელი ინგირი, ტაბიძის 19;
ანგელინა ადამია (პ/ნ 19001066136), ზუგდიდი, სოფელი ინგირი, ტაბიძის 19.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ზუგდიდი, სოფელი ინგირი (საკადასტრო კოდი: 43.18.44.267).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11407.25 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 26 ოქტომბერი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 10 ნოემბერი, 15:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP36356316;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 363563

6. **მოვალე:** მურთაზ გერგედავა (პ/ნ 19001051911), ზუგდიდი, სოფელი ინგირი, ტაბიძის 19.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP36356316; ლოტის ნომერი: 363563).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 9 ნოემბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზაზა ჯოხაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზაზა ჯოხაძე (პ/ნ 37001000174), სამტრედია, ფარნავაზის ქ. №261.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
სამტრედია, ფარნავაზის ქ. №269 (საკადასტრო კოდი: 34.08.61.036).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 22313.47 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 26 ოქტომბერი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 10 ნოემბერი, 15:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP36356416;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 363564

6. **მოვალე:** ზაზა ჯოხაძე (პ/ნ 37001000174), სამტრედია, ფარნავაზის ქ. №261.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP36356416; ლოტის ნომერი: 363564).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 9 ნოემბრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს რომანოზ შამათავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რომანოზ შამათავა (პ/ნ 39001006902), სენაკი, მ. ღვინჯილიას ქ. №5, ბინა №9.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
სენაკი, მ. ღვინჯილიას ქ. №22 (ყოფილი 5), სართული 1, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 44.01.03.113.01.009).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 8762.89 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 25 ოქტომბერი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 10 ნოემბერი, 14:15 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP36280216;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 362802
6. **მოვალე:** რომანოზ შამათავა (პ/ნ 39001006902), სენაკი, მ. ღვინჯილიას ქ. №5, ბინა №9.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP36280216; ლოტის ნომერი: 362802).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 9 ნოემბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ვაგიფ გურბანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვაგიფ გურბანოვი (პ/ნ 28501130082), მარნეული, სოფელი საბირკენტი, მე-7 მე-2 ჩიხი №9.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მარნეული, სოფელი საბირკენტი (საკადასტრო კოდი: 83.03.25.361).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11336.45 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 25 ოქტომბერი, 12:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 10 ნოემბერი, 14:30 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP36280316;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 362803
6. **მოვალე:** ვაგიფ გურბანოვი (პ/ნ 28501130082), მარნეული, ს. საბირკენტი, მე-7 მე-2 ჩიხი №9;
რუხინ გურბანოვი (პ/ნ 28301127847), მარნეული, სოფელი საბირქენდი;
მაზახირ მამედოვი (პ/ნ 28501123291), მარნეული, სოფელი საბირქენდი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
